# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:** თბილისი, რუსთაველის პრ. ასპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფ. № 15—73. წერილებისა და დეპეშებისთვის: თბილისი „საქართველო" ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:** განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 10 მ. მე-4 გვერდზე—6 მ. ხამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—350 მ. 1-ლი საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:** გაზეთი „საქართველო" ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე №—10 მ.

...იწადი მეექვსე. ოთხშაბათი ენკენისთვის 8. 1920 წ. № 94 ფასი 10 მანეთი



## ეროვნულ-დემოკრატიული
## ×× პარტიის მთავარი კომიტეტი ××

...თავსებულია კვლავ ძველ ბინაზე დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ქარვასლა.

---

სამსონ მალაქიას-ძე და მარიამ ნიკოლოზის ასული ასათიანი შვილებით: ელენე, ვლადიმერ და ლეონიდეთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს პირველის გერისას, მეორე შვილისა და დანარჩენნი უსაყვარლესის დისა

### ნინა ოტიას ასულის აბდუშელიშვილისას

გარდაცვალებას, გამოსვენება ხუთშაბათს 9 სექტემბერს (ტერ გუკასოვის ქუჩა № 15) დილის 9 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში, დაკრძალვა ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში იმავე დღეს. პანაშვიდი საღამოს შვიდს საათზე.

1—1 3115

---

თავზარ დაცემული ანტონ იესეს ძე მამინაიშვილი აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროვოდ გამოესალმა წუთისოფელის მისი საყვარელი მეუღლე

### მარიამ (მანია) აბესალომის ასული მამინაიშვილისა

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 ს. გამოსვენება ხუთშაბათს 9 ენკენისთვე დილის 9 საათ. ბინიდან პეტრე-დიდის ქუჩა № 25 1-113

---

ღრმად დამწუხრებულნი ელიუსა დიმიტრის ასული და ილიკო ივლიანეს-ძე მამულაიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გამოესალმა წუთისოფელს მათი პირველი საყვარელი დედა და მეორის სიდედრი

### მარიამ (მანია) აბესალომის ასული მამინაიშვილისა

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათ., გამოსვენება ქაშვეთის ეკლესიაში ხუთშაბათს დილის 9 ს. ბინიდან პეტრე-დიდის ქ. № 25 2-1 3114

---

## ცენტრობანკის კონსტანტინოპოლის განყოფილება

ცენტრობანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 12—15 ამა ენკენისთვეს მიემგზავრებიან კონსტანტინოპოლის განყოფილების დასაარსებლად ბანკის რწმუნებულნი: მმართველი პ. სურგულაძე და დირექტორი ა. გრიგოლია. რწმუნებულები იღებენ მონდობილობას გაასაღონ სტამბოლის და ევროპის ბაზრებზე ჩვენი ქვეყნის ნაწარმოები და აგრეთვე შეიძინონ უცხოეთის ბაზარზე მთავრობის, საზოგადო დაწესებულებათა, კერძო ფირმათა და პირთა მონდობილებით სხვა და სხვა საჭირო საქონელი.

მოსალაპარაკებლად მიმართეთ ცენტრობანკში (კონსტანტინეპოლის განყოფილება) 10 საათიდან 2 საათამდე. გამგეობა. 2—21—1

---

მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს,

## თბილისის ტან-სავარჯიშო საზოგადოება „შევარდენში"

განათლების სამინისტროს ნება დართვით

## გაიხსნება 8 თვიანი უფსო ქართული ტან-ვარჯიშული სკოლა

სკოლაში მიიღება ორივე სქესის პირები, საშუალო განათლებით აღჭურვილნი არა უმცირესნი 18 წ-ისა და ჯანსაღნი. დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე შეიძლება ჩაირიცხონ საშუალო სასწავლ. 6 კლასის და ბოლოს 4 კლასის კურსდამთავრებულნი. სწავლა იწარმოებს დილის 8 ს. 1 ლ საათამდე.

ყველა კურსდამთავრებულთ მიეცემათ შტატის ადგილი ტან-ვარჯიშობის მასწავლებლისა [illegible]

თხოვნები, სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ, მიიღება ყოველ დღე დილის 12-დან—1 საათამდე არა უგვიანეს 15 სექტემბრისა განათლების სამინისტროში ტან-ვარჯიშობის მთავარ ინსტრუქტორის სახელზე. თხოვნასთან უნდა იქნას წარმოდგენილი მოწმობები: 1) განათლების შესახებ და 2) მეტრიკული.

სწავლის დაწყებამდე ყველა გაშინჯულ იქნებიან ექიმის მიერ.

ტანვარჯიშობის მთავარი ინსტრუქტორი.

12—1 6—5

---

## სხვაგან სად! თუ არ სასადილო „ტამირში"?!

(ყოფილი „ეკონომია") შტაბის ქუჩა

პუშკინის ბაღის პირდაპირ

ვისაუზმოთ დილ. 0-12 ს.

ვისადილოთ „ 12—6 ს.

ვივახშმოთ „ 6—12 ს.

ამერ-იმერულ გემრიელ საჭმელებით, და დავლიოთ მაგარი სასმელები და მადნეულ წყლები.

---

## საჭიროა

საქმის მწარმოებელი მცოდნე ქართული ენისა, საქმის წარმოება მხოლოდ ქართულ ენაზეა. მისამართი: საავტომობილო გუნდი, ნიკოლოზის ქუჩა № 51.

2—3112—1.

---

სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი

## საბუღალტერო კურსები თ. მ. ფილოიანისა

ორთავე სქესისთვის. (თფილისი, მიხეილის პრ. № 24, ტელ. № 976), თხოვნების მიღება დილ. 10—12 საათამდე, საღ. 5—7 საათ. იხსნება ქართული განყოფილება.

3101. 15—1

---

ქ. ლანჩხუთში დაარსდა ბ-ნ ფინანსთა მინისტრის ნებართვით

## გურიის სავაჭრო კომერციული ბანკი

რომლის ძირითადი თანხა არის **ორი მილიონი მანეთი**

თითო აქცია ღირს 1000 მან. და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად 50 მან. თითო ხმის უფლებას ანიჭებს 5 აქცია. ამ თავითვე შემოტანილ უნდა იქნას აქციის ნახევარი ღირებულება 500 მან. და საორგანიზაციო ხარჯებისთვს 500 მან. ე. ი. თითო აქციაზე 55 მან.

...ზოგადო ოფიციალურ ხელის მოწერა აქციებზე და ფულის შემოტანა დანიშნულია: 6—ორშაბათს, 7—სამშაბათს, 8—ოთხშაბთს, 9—ხუთშაბათს და პარასკევს ამა სექტემბერს: ლანჩხუთში—საურთიერთო ბანკში. თბილისში—ცენტრო-ბან...ში. ქუთაისში—ვლადიმერ იაგორისძე გვარჯალაძესთან. ფოთში—ერმალო ბოლქვაძესთან. ბათომში—მოსე იაგორისძე გვარჯალაძესთან. ოზურგეთში—ელისე ანთელაძესთან. სამტრედიაში—სიმონსპირიდონისძე ქართველიშვილთან და სუფსაში—კონსტანტინე ჰანტურიასთან. ყოველივე შეკითხვის გაგზავნა შეიძლება ლანჩხ. საურთ. ბანკში.

გურიის სავაჭრო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი.

1—3075—7

---

××●×× საზოგადოების საყურადღებოთ ××●××

## დავით იაგორის-ძე კალანდაძე

აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ სარექტიფიკაციო ქარხანა

## კონიაკის, არაყის და ლიკიორის

ნ. აივაზოვისა, ყოფილი სავაჭრო სახლი ამხ. სეილანოვებისა პირველ მარიამობისთვიდან გადმოვიდა მის საკუთრებათ. ახლო ხანში სასმელები გამოვა კალანდაძის ფირმით— სადგურის ქ. № 5, სახლი სომხეს სასულიერო სემინარიისა.

27


## ოფიციოზის „ოპოზიცია".

ბანკეტებისა და ალლუმების ხანამ განვლო. სადღესასწაულო დეკორაციები ალაგდა. მყვირალა ფრაზეოლოგიის ნაცვლად მმართველი პარტია უნდა შესდგომოდა ყოველდღიურ შავ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმიანობას. შემოქმედ მუშაობას მოითხოვდა სახელმწიფო მართებლობის ყოველი დარგი.

ჩვენ დიდ იმედებს არ ვამყარებდით იმ ადამიანებზე და ორგანიზაციაზე, რომელთაც ორნახევარი წლის წინად ქვეყნის სათავეში დგომა ერგოთ. განვლილი დრო მათი სოციალ-პოლიტიკური მოქმედებისა საკმაო საბუთი იყო ჩვენთვის გვეფიქრა, რომ ძველადვე აღებულ საერთო გეზს რუსეთის სოციალდემოკრატიულ პარტიის ერთგული წევრი ადვილად არ უღალატებდა და აღებულ ვალდებულებათა შესრულებაში სამაგალითო დებიტორი გამოდგებოდა.

# დ ღ ე ს

ლიონის ცნობით ლიტვის ლაშქარი ომის გამოუცხადებლად თავს დაეცენ პოლონელ ჯარისკაცებს.

იაპონიის მთავრობამ საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან სამხედრო განწყობილების დეკლარაცია გამოაქვეყნა.

ლიონის ცნობებით პოლონელები შეტევას განაგრძობენ.

სტამბოლის ცნობით გენ. ვრანგელმა მარიუპოლი დასტოვა.

## წერილები:

მეთაური: ოფიციოზის „ოპოზიცია".
კ. მ.: რევიზორები.
პრესა: „ერთობა" და „განი".
ს. ასათიანი: სიძვირე.
ტ. ტაბიძე: ბათომი.
ნ. კე—ლი: წერილი ქართლიდან.
ჩვენი კორესპონდენტები:
თელავი, თერჯოლა.
ფელეტონი: ბ. გ. რუსეთის პრობლემა და კავკასია.


მიიღება ხელის მოწერა ყოველ-კვირეულ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ.

## „ახალ სხივზე"

გაზეთი გამოდის გრიგოლ გიორგაძის რედაქტორობით, ღირს თვეში 20 მან. ფული უნდა გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, პეტრე დიდის ქუჩა „ახასხივს" 6—3

გაზ. „საქართველოს" კონტორა

ამით აცხადებს ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ გაზეთი თვიურად ღირს 300 მან. ვისაც ამაზე ნაკლები აქვს შემოტანილი და ხვედრ ფულს დროზე არ გადაიხდის, გაზეთის გზავნა მოესპობათ.


დროგამოშვებით მენშევიკების პუბლიცისტები „ნიანგის ცრემლებს" აფრქვევენ იმ „სამწუხარო მოვლენათა" გამო, რომლის შედეგად მოგვეცა განთავისუფლებული დამოუკიდებელი საქართველო. ეროვნულ ბორკილების ჩამოწყვეტა მმართველ პარტიამ მიიღო, როგორც „სამწუხარო მოვლენა", რომელიც აფერხებს საწარმოვო ძალთა განვითარებას და ალვიებს კლასობრივ ბრძოლის დამასუსტებელ ნაციონალისტურ გაუტანლობასა და შუღლს.

ადვილი გასაგებია, რომ ამ პოლიტიკურ ორგანიზაციის ახალი უჩვეული სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა ეროვნულ ერთეულის ფარგლებში სრულიად განსხვავებული გეგმითა და დანიშნულებით იქნებოდა მეტისმეტად სუსტი და უნიათო!

ამაზე „საქართველოს" ფურცლებზე ხშირად გვქონია საუბარი მკითხველთან; უფრო მეტი: ჩვენ მრავალი ფაქტების ჩიხედვით ხმამაღლა განვაცხადებია, რომ დღევანდელ მესვეურთა მოქმედება ერთობ საზიანოა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მომენტის წესიერად ზრდისა და განვითარებისათვის.

თავის თავად აშკარა იყო ჩვენთვის ის თავითვე ერთი რამ: მენშევიკები არამც თუ არ შეეცდებიან გამოასწორონ მავნე პოლიტიკა, პირიქით ყოველს ჩვენს გაფრთხილებას და რჩევას მიიღებენ, როგორც სახელმწიფოსათვის დამღუპველ აქტს.

სოციალდემოკრატების აზრით საქართველოს სახელმწიფო აპარატი მოქმედებს ისე, როგორც არსად მთელს ქვეყანაში და ის უამრავი დაბრკოლებანი, რომელიც ძლიერ ქართველობამ თავის განთავისუფლების პროცესში, შთანთქავდნენ ჩვენს რესპუბლიკას პირველსავე დღეებში, უკეთუ იგივე სოციალდემოკრატები არ გამოცხადებულიყვნენ ერის მესვეურის როლში!

ასეთი ტრაბახობით იყო შემკული მმართველი პარტიის მოქმედება შინ და გარეთაც. ისეთს მოვლენასაც, რომ ჰქონოდა ადგილი ჩვენს სახელმწიფო ცხოვრებაში, რომლის შესრულებაში მენშევიკური პარტია ყოველივე აქტიობის გარეშე იდგა, თქვენ მაინც მოვალენი იყავით გეღიარებინათ, რომ ყოველიფერი მისი მეოხებით სრულდება....

საქართველოს წალკოტზე იდგა „უკონდველი" კვიპი, კმაყოფილი და მრისხანე. ქედმოხრილი ქართველი ერი მას ლოცულობდა, მისგან ელოდა ხსნასა და შველას.

მაგრამ იმ პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ "ღრმავდებოდა" რუსეთის დიდი რევოლიუცია და მისი ტალღები ჩვენს პატარა საქართველოსაც აზანზარებდა, რას მოვთხოვდით მმართველ პარტიას!? არ შეგვეძლო ხმის ამოღება არც იმ პერიოდში, როდესაც ჩვენ განვიცდიდით „ჩვენი პატარა ქვეყანა ვერ ასცდებოდა" და მაშ ადამე, ამ შემთხვევაშიაც ენაჩავარდნილები უნდა ვყოფილიყავით. ხოლო, როდესაც დარწმუნდნენ ყველა თვალხ ლულნი, რომ „შედეგების" ხანაც დაუსრულებელი არ არის და საქართველოზე მათი გავლენა ყოველს შემთხვევაში უნდა მისუსტდეს მაინც მაშინ იწყეს ხმაურობა თვით კლიკრეტებმაც, აყვირდნენ „ვალაამის ვირები" უცოდველ კვიპს ბევრი რამ დაუწუნეს მისი მოქმედება კრიტიკის ცეცხლში გაატარეს...

ახლა ამ ორნახევარ წლის დამლევს მენშევიკების ყურმოჭრილ ლაქიებისთვისაც გამოირკვა, რომ ბრალი აგენ არაფერი გაკეთებულა არც საშინაო და არც მით უმეტეს საგარეო სფეროში!

მენშევიკების აგენტებს სულ უკანასკნელ დღეებში შეუმჩნევიათ ის ორგანიული ნაკლი საქართველოს სახელმწიფოებრიობაში, რაზედაც ჩვენ მრავალჯერ მიგვითითებია წარსულ თვეებშიც და რისთვისაც მენშევიკურის პუბლიცისტებს რესპუბლიკის კეთილდღეობის დამშლელად გამოუცხადებივართ.

„ერთობის" უკანასკნელი ნომერი გვატყობინებს, რომ საზღვარ გარედ არაფერი კეთდება საქართველოს სასარგებლოთ: მიუხედავად იმისა, რომ აგენტები მოგვეპოვება ევროპის სხვა და სხვა ქალაქებში და წარმოიდგინეთ შორის შორ შანხაიშიაც, განუზომელი კომპეტენციით, მრავალ უწყების დირექტივით და რწმუნებით, ევროპაში დღესაც ათასი ჭორი ვრცელდება ჩვენს სახელმწიფოსა და ხალხზე და უარმყოფელი კი ჯერ არავინ გვიხილავს.

სახელმწიფოს ხაზინა დაცარიელდა საზღვარ გარეულ აგენტების მდიდრული შენახვით, მაგრამ მათ იქ ყოფნამ სულაც ვერ შესცვალა რესპუბლიკის საგარეო მდგომარეობა: ისევე ძველი გაუგებრობა და ინსინუაციებზე აგებული შეხედულება.

სადღაა წინანდებური მკვეხარა სიტყვები იმავ „ერთობის" ფურცლებზე უხვად რომ იბნეოდა ჩვენი დელეგაციების საქებად?

ჩვენ არ ვიცით რამდენს ხანს გასტანს „ერთობის" მიერ აღებული „კრიტიკული ტონი", შესაძლებელია ოფიციოზის ოპონენტებს ზემო სართულიდან თითი უჩვენონ და მაშინ „ერთობა" კვლავინდებურად დაიწყებს ლაღადს ჩვენი დელეგაციების „ღირს შესანიშნავ და ფრიად ნაყოფიერ მოღვაწეობაზე"...

# რევიზორები.

ჩვენში მოდიან სოციალისტები. ვანდერველდე, ჰიუისმანსი, შოუ, მაკდონალდი, რენოდელი, კაუტცკი და ყველა ისეთი ადამიანები, რომელთაც დღევანდელ საქართველოში ქართველ ჩვენს ევროპიელ სტუმრების შუბლზე, ოდესღაც გაჩირაღდნებულს, დღეს აი მიმქრალ შარავანდედს; წინადასულ წინად... რომატიული მყურდოებისა და სიზმრების დროს, ქვეყანას ეშინოდა ამ სახელების, ტახტები ძრწოდენ მათი გაგონებისას; დღეს ეს დრო აღარავის ახსოვს.

ბურჟუაზიული ევროპის კონსტიტუციამ ვანდერველდე და კაუტცკი მოაშინაურა, ზოგი პარლამენტში შეიყვანა ზოგი სამინისტრო სავარძელს გაალღო, ურჩობა დაავიწყა, სიტყვის შებრუნებას გადააჩვია. დღეს თითეულ მათგანს ხელი პორთფელებისკენ მიურბის, აზროვნების მინისტრალიზაცია სტანჯავთ, დიდ-კაცობაზე ოცნებობენ.

მოულოდნელი იყო თითქოს ყოველივე ეს, მაგრამ ომმა და რევოლიუციამ უფრო მეტის სიმძაფრით გაანადგურა, ცხოვრებისათვის მიუღებელი თეორიები, ვიდრე რეიმსის ტაძარი, ან დიდი ოკეანის რომელიმე ტრანსპორტი, და შეიქმნა კრიზისი არა მარტო პურისა და ფულისა არამედ იდეებისა და პრინციპებისაც.

დღეს, ერთის მხრით თუ საქმის ადამიანები მარცვლობით ითვლიან ხორბლის შემოსავალსა და კაპეიკობით ანგარიშობენ ფულის კურსის დაცემას, მეორე მხრით იდეოლოგიის ქურუმები, რომელთაც სწამთ სიტყვების მაგიურობა,—მთელი თავიანთი მგრძნობიარე ნერვებით განიცდიან დაღუპული „პროგრამების მეხლებსა" და იდეოლოგიის კრიზისს.

მართლაც, ძნელი გადასაჭრელია სიტყვისა და საქმის პროპორციის პრობლემა, მაგრამ, ხშირად ყოვლადუნიადაგო ლოზუნგები რომ მასიურ ელექტრიზაციას იწვევენ ეს აშკარაა.

და უნდა ითქვას პირდაპირ, თანამედროვე ნერვიული ეპოქა არც ერთს იდეას არ აუცახცახებია ისე, როგორც სოციალიზმს, იმავე დროს არც ერთს მოძღვრებაში არ ყოფილა თავის თავის იმდენი უარისყოფა, რამდენიც სოციალიზმში.

ერთ დროს იდეოლოგიური სენსაცია შექმნა კაუტცკის მტკიცებამ ევროპა-ამერიკის მუშათა კლასში რევოლიუციონურ შემოქმედების დაჩლუნგების შესახებ. მაშინ ეს ცნობილი „მარქსიზმის ინკვიზიტორი" რუსეთიდან ელოდებოდა სოციალიზმის მზეს და მთვარეს. მაგრამ მოხდა ისტორიული გარდატეხა, რუსეთი უკუნეთმა მოიცვა და ამ წვდიადში ლენინისათვის არც ერთი კლემანსო არ არის ისე საშიში, როგორც ვანდერველდე კაუტცკი...

დღეს ეს ხალხი საქართველოში მოდის დაღუპულ იდეოლოგიის რევიზიის მოსახდენად; მენშევიკების ხახით საქართველოში უთუოდ ერთგული მოწაფეები დახვდებათ ევროპაში გამინისტრებულსა თუ სამინისტროდ გამზადებულ სტუმრებს.

ჩვენი დემოკრატიის ლიდერებმა რაც შეიძლება მეტი გაბედულება უნდა გამოიჩინონ ანგარიშის ჩაბარებისას და თამამად უთხრან სოციალისტ რევიზორებს რომ ქართული სოციალიზმი ერთჯერ დუშეთზე მოკვდა, მეორედ ლეჩხუმში, მესამედ ზუგდიდში და ვინც ამდენ სიკვდილს გადურჩა, იმას ტვინის ტუბერკულოზი შეეყარა.

ჩვენი გულწრფელი სურვილია, მენშევიზმის ფაქტიური რევიზია არც გოგოლის კომედიას დაემზგავსოს და არც ჩვენში მომქმედ სარევიზიო კომისიების ცალ თვალა ბუხჰალტერიას.

დარწმუნებულნი ვართ, ევროპიელი ჯენტლმენები საცსებით შეიწყნარებენ ოზურგეთისა თუ ჩიბათის სოციალისტების ცოდვებსა და დაღუპული იდეოლოგიის ლიკვიდაციის საქმეც დედანთან სწორი იქნება.

სიმართლის თქმა სულსაც არგებს და ხორცსაც.

კ. მ.

# პრესა.

### „ერთობა" და „განი".

„ერთობას" ერთი თანამშრომელი „განი" ყავს, რომელიც დრო გამოშვებით საჭიროდ სცნობს ზოგიერთ ცოდვების მონანიებას.

როდესაც მენშევიკების „საქმენი საგმირონი" უკვე ნათელი და აშკარა ხდებიან, რომ ყველაფრის დამალვა და გამართლება უკვე აღარ შეიძლება, მაშინ გაჩნდება ბ-ნი განი და როგორც უცოდველი მოძღვარი თავის სამწყსოს შეცოდებებს მეგობრულ მხილებათ შეუდგება.

„საქართველოს" მკითხველებს კარგათ მოეხსენებათ, რომ ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ევროპაში ჩვენს სახელმწიფოს არ ჰყავს წესიერი წარმომადჩვენ ვამბობდით, რომ რომ ფულები საქართველოს საგარეო წარმომადგენლობაზე მიზან შეუწონლად იხარჯება — გაზ. „ერთობა" ყოველთვის უარყოფდა ჩვენს განცხადებათ.

მაგრამ დღეს, გაზ. „ერთობის" რედაქციის გარდა ყველა დარწმუნდა, რომ ჩვენ მართალნი ვიყავით და ბ-ნი „განიც" თავის ადგილზეგაჩნდა!

გუშინდელ №-ში სწერს:

„უცხოეთიდან დაბრუნებულნი ყველა ერთხმად აღნიშნავენ, რომ მათ თითქმის არაფერი იცოდენ თუ რა ხდებოდა და ხდება საქართველოში; რომ ისინი არა ერთხელ ცდილან მიეღოთ საჭირო ცნობები და დირექტივები, მაგრამ ამაოდ. ახლო პირობებში რაღა თქმა უნდა ჩვენი წარმომადგენლობა უცხოეთში წარმოადგენს უბრალო სინეკურას და ამ სინეკურაზე ვინ იცის რამდენი არ იხარჯება. მართალია, არიან ისეთი წარმომადგენლები, რომლებიც მიუხედავათ ამისა, მაინც ახერხებენ ნაყოფიერ მუშაობას, მარა ეს უნდა მიეწეროს მათ საკუთარ ფხას და გამჭრიახობას. წარმომადგენლობა კი ისე ბლომათ გვყავს, რომ ვგონებ, დიდ სახელმწიფოებსაც გადავაჭარბეთ. აბა წარმოიდგინეთ, შანხაიშიც კი გვყოლია წარმომადგენელი.

რამდენი შრომა და ხარჯი გავსწიეთ, რომ ინგლისის საზოგადოებისათვის ჩვენი მდგომარეობა გვეცნობებინა. გამოირკვა, რომ მათ არაფერიც არ იციან. მთელ ევროპაში ათასგვარი ჭორი და ინსინუაცია ვრცელდება. ამნაირად გზე იქმნება ჩვენი საწინააღმდეგო ატმოსფერა, რომელშიაც იწვის და იფერფლება ჩვენი სრულიად სამართლიანი მისწრაფებანი და ჩვენ კი გვგონია აქ რომ ყველაფერი კეთდება, კიდევაც გვეცნობება, კარგადაც გვეპყრობიან და ასე განიცდეთ—დახმარებასაც ველით.

იმიტომ და ქვეყანას ეფინება ათასგვარი ჭორები. უარმყოფელი კი არავინაა. ეს თითქოს ჩვენ არ გვეხება, და აი, როცა ჯერი საქმეზე მიდგება, ვ წყებთ წუწუნს და ჩვენს დაუდევრობას სხვების მტრობით და ღვარძლიანობით ვამართლებთ. რათ ხდება ახე?"

სამწუხაროდ, ვერც „ერთობა" და ვერც მისი „განი" ამასვერასოდეს მიხვდებიან, ხოლო ჩვენ რამდენიც არ უხსნით მაინც ვერ გაიგებენ.

გაზ. „საქართველოს" მკითხველებმა, კარგათ იციან ჩვენი აზრი საქართველოს საგარეო ვაჭრობის შესახებაც და [illegible] მენიათ დამღუპველ კრების ტრიბუნიდან, რომ ჩვენს საგარეო ვაჭრობის ყოველივე სისტემის გარეშე აწარმოებენ.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს მიზეზებიც ამ უსისტემობისა, რომელსაც აურაცხელი ზარალი მოაქვს რესპუბლიკის ხაზინისათვის და გაუსწორებელი ზიანი საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობისადმი—გაზ. „ერთობა" და მართველი პარტია ყოველთვის გვიმტკიცებდა, რომ ყველაფერი თავის რიგზე!

ახლა მოუსმინოთ „განს":

„ჩვენ გვინდა აგრეთვე დაუყონებლივ ბოლო მოეღოს იმ ანარქიულ სისტემას, რომელიც გამეფებულია საგარეო ვაჭრობაში. გავგზავნით თუ არა რაიმე საქონელს, უნდა გავაყოლოთ რამდენიმე კაცი. ზოგი გამყიდველია, ზოგი კონტროლია. ყველა უწყება ცალკე ვაჭრობს, ყველას თავის კაცები ყავს უცხოეთში და ეს მაშინ როცა მთავრობას საამისო სპეციალური პირები ჰყავს გაგზავნილი. შედეგი ამისა არის სრულიად უადგილო ხარჯები, მთელი რიგი პირების დაბანდება და სარგებლობა კი უმნიშვნელო. რატომ არ შეიძლება ყველა უწყებამ ისარგებლოს იმ საჭირო აპარატით, რომლის მოსაწყობად გაგზავნილია მთავრობის მიერ სპეციალური ეკონომიური მისიისა? რა საჭიროა კიდევ თითქმის ყველა უწყების მიერ ყოველ კერძო შემთხვევა ში ცალკე პირის და მთელი კომისიის გაგზავნა?! თუ ჩვენი ეკონომიური წარმომადგენლობა ვერ დგას თავის სიმაღლეზე, საჭიროა მისი უკან გამოწვევა და სხვების გაგზავნა. და თუ დგას, რისთვის იგზავნება ამდენი სხვადასხვა პირები თუ კომისიები ერთი და იმავე საქმისთვის!

ჩვენ გვინდა ამ ვაკხანალიას რაც შეიძლება მალე მოეღოს ბოლო და ასე იოლიდან აცილებული იქნას როგორც უადგილო ხარჯები, ისე საჭირო პირების უაზრო მგზავრობაში დაბანდება, ერთი სიტყვით საგარეო საქმეებში, როგორც პოლიტიკაში, ისე კომერციაში საჭიროა და აუცილებელია მტკიცე სისტემა, პერსპექტივა, მეტი საქმიანობა.

ჩვენ გვინახავს ხალხი, რომლსაც არ რცხვენია თავისი სიტყვების უარყოფის, მაგრამ მაშინ ისინი წითლდებიან და ბოდიშს იხდიან:

მოიხდის თუ არა ბოდიშს ქართველი ერის წინაშე გაზეთი „ერთობა" და მისი პარტია, რომ ამდენი ხანი ატყუებ იგი და ასეთი დიდი ზარალი მიაყენეს?

---

ბათომის ოლქში პოლიტიკური და ადმინისტრატიული მდგომარეობის შესახებ გაზ. „სამუსულმანო საქართველო" შემდეგსა სწერს:

მათომსა და მის ოლქში ნორმალური მდგომარეობა დამყარდა.

წესრიგი მაგრდება და ოლქის ტეხნიკური თუ კულტურული მოწყობისთვის მუშაობა ცხოველად სწარმოებს.

სულ მოკლე დროში აქ ყველა წყალი დაწმენდილი იქნება და მეთოდიურ შემოქმედებითი შრომისთვის ასპარეზი გადიშლება.

ჩვენ ბევრჯერ გვითქვამს და ახლაც ვიმეორებთ რომ ბათომსა და მის ოლქში ეროვნულ ცალკევობის სულისკვეთება—პრობლემა არ არსებობდა და არც არსებობს.

ავტონომიის „შემეცნება" აქ სჯულის სხვაობამ წარმოშვა.

ამდარიგში ჩვენ კიდეც უნდა გვქონდეს სრული ავტონომია და შარიათის სასამართლო შემოღებულ იქმნ ს ოჯახურ საქმეების გარჩევის დროს.

სხვა გვარი ავტონომია ეროვნულ ცალკეობის გარეშე, საქართველოს ყოველ კუთხეში არსებობს დღეს დემოკრატიულ ერობის სახით და თავის თავად ცხადია ასეთ ინსტიტუტით ბათომის მხარეც ისარგებლებს.

ხშირად გაისმის ქუჩურ მითქმა მოთქმაში რომ ხალხს „ავტონომია" უნდა დღესვე.

ჩვენ არა ერთხელ განვაცხადეთ, რომ დღევანდელი მუშაობა რესპუბლიკის უმაღლეს კომისრისა აქ, მომართულია მხოლოდ და მხოლოდ საჭართველო ავტონომიის მოსამზადებლად.

მაგრამ ქვენაგრძნობის და პირად აღტყინების ხალხი ყველაფერს ლაპარაკობს პასუხის გების უგრძნობლად.

უცხო ხალხისგან მოწყობილ ავანტიურის უკანასკნელი ქრონიკა კასკინ ზადე იყო, რომელმაც მოინანია ცოდვანი ახლო წარსულისა.

თუ რა სურს ხალხს ამაზე ლაპარაკი უნდა ერიდებოდეს ისეთ წრეებს, რომლებსაც ხალხთან საერთო ნაკლებები აქვთ, გარდა სჯულისა.

სულ მალე შესაძლებელი გახდება ბათომსა და მის ოლქში საყოველთაო არჩევნების მოხდენა და ჩვენ, ხალხი, მაშინ ვიტყვით საკუთარ სიტყვას.

ჩვენი ნატვრა და წადილია ხალხის ასეთ სიფხიზლემდე მოყვანა, როცა ის თავის საკუთარ ფეხზე დამდგარ, სწორ უფლებიან თვით ცნობიერ მოქალაქეთ გრძნობს თავს და მონურ მიდრეკილებას აბსოლუტურად განიშორებს.

ჩვენ გაცხოველებულ მუშაობას აქეთკენ მოვმართავთ... ჩვენ გვწამს ერთი ჭეშმარიტება „ყველაფერი ხალხისათვის და არაფერი ბედის მაძიებელთათვის!"

# ეკონომიური წერილები

## სიძვირე.

I

ყოველ მოვლენას აქვს საზოგადო და ზოგადი მიზეზები. მოვლენის წარმოდგენა უმიზეზოდ მოუხერხებელია. მოვლენა შედეგია ერთიმეორესთან დამოკიდებული მიზეზებისა და აქვს თავისი საკუთარი ბუნების გამომხატველი თვისებები. თუ გვსურთ მოვლენის სწორად ახსნა, უნდა მისი თვისებები შევისწავლოთ, რომ თავიდგანვე და შემდეგში რაიმე გაუგებრობა არ დაიბადოს, უნდა წინადაწინვე პირობა დავდოთ და განვმარტოთ რას ვგულისხმობთ ჩვენ ცნება „სიძვირე"-ში.

სახელი „სიძვირე" არის განყენებითი შემეცნება და წამოსდგება სიტყვ დგან „ძვირი". ეს უკანასკნელი ჰნიშნავს იშვიათს, უმრავლესობისათვის ძნელად ხელმისაწდომს და ჰგულისხმობს ყველაფერს იმას, რაც ადამიანს ფიზიკური და სულიერი მოთხოვნილებისათვის დასაკმაყოფილებლად საჭიროა. ჩვენ მსჯელობაში შევეხებით მხოლოდ ფიზიკურ მოთხოვნილებას.

ფიზიკურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად არის საჭირო სხვა და სხვა ნივთები, ქონებრივი ღირებულებად. რამდენად უკანასკნელი ბევრია, იმდენად უფრო ადვილად ხელმისაწდომია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უსათუოდ ასეა. მაგ. შეიძლება თვითონ ბევრი იყოს ხილეულება და იგივე ძნელი ხელმისაწდომი იყოს. რუსეთში პუ მარტო საქმე. თუ ეს რაოდენობა რომელიმე შეთანხმებულ ჯგუფის ხელშია ყოველთვის შეუძლიან მას ძნელად ხელმისაწდომი გაჰხადოს იგი. მაშ უმეტესობის ინტერესების დასაცავად საჭიროა, რომ ღირებულებანი შეთანხმებულ ჯგუფის ხელში არ მოხვდეს და თანაბრად განაწილდეს, რომ ყველას ერგოს, შეიძლება ღირებულებანი ბევრიც იყოს, შეთანხმებულ ჯგუფის ხელშიც მოხვდება რაც ავაცდინოთ, მაგრამ მაინც კვლავ ძნელი ხელმისაწდომი იყოს. მაგ. ინგლისელებისთვის ჩვენში ყველა ყოველისფერი ხა მეტად იაფია, იმავე დროს ჩვენთვის კი ძნელი ხელმისაწდომია. ჩვენთვის შაქარი გირვანქა ხამასი მანეთი ღირს, ინგლისელისთვის კი 600 ჯერ ნაკლები, ე. ი. 50 კაპ. რადგან ინგლისური ფული ერთი გირვანქა სტერლინგი, ჩვენს 6000 მან. უდრის. იმ დროს როცა ჩვენს ქვეყანაში მოყვანილ საზამთროში ოცთუმანს ვიხდით და კვირაში ერთჯერ ვერ გვეჭმია, ინგლისელი ჩვენებურად ეჭვს შაურს იხდის და ყოველ დღე თავისუფლად შეექცევა. თუ ასე გავაგძელებთ ჩვენს სჯელობას, უეჭველად მივალთ იმ დასკვნამდის, რომ ხორცი, პური, ღვინო, შაქარი და სხვა ჩვენთვის ძნელი ხელ მისაწდომია, თუნდაც რუსთაველის ქუჩა, ბაზარი ყველა მაღაზიები, დუქნები რომ შიგ ძლივს ეტეოდეს, ისე იყოს სანოვაგით სავსე. შიმშილობაა, მაშ რა არის, როცა ადამიანს საყოფად ვერ გიჭამია!

შიმშილობა ორგვარია: ერთი, როცა სრულიად არ მოიპოვება უმთავრესი საზრდო პური, ხორცი, შაქარი და მეორე როცა იგივე სანოვაგე საკმაოდ არ აკმაყოფილებს ჩვენი ორგანიზმის მოთხოვნილებათ. პირველს ადამიანი ვერ იტანს და ერთბაშად კვდება, მეორე შემთხვევაში უარესი ორგანიზმი თანდათა ნძაბუნდება, სუსტდება და ეს სისუსტე გადადის შემდეგს თაობაზედ რომელიც ვერ უმკლავდება ცხოვრების ტალღებს აშნაირად მთელი ერი ნელნელა ჰკრება. უბედურებაა ეს მაშ რა არის? რაშია საქმე?

საქმე ისაა, რომ ყოველ ნივთს ჩვენ ვადარებთ მის გამომხატველ ეკვივალენტს ფულს, როგორც რკინას, როცა მას ვადარებთ წყალმბადს. განსხვავება იმაშია, რომ წყალმბადის წონა უცვლელია ფულის ფასი ცვალებადია. ფულის ფასი იცვლება როგორც დროში, ისე ტერიტორიულად. მაგ. რუსეთშივე ნიკოლოზის ფულს მეტი ფასი აქვს, ვიდრე „კერენსკის" ფულს და ამ უკანასკნელს მეტი, ვიდრე ბოლშევიკებისას და დონის ფულს. ჩვენს ფულს მეტი ფასი აქვს ვიდრე აზერბაიჯანისას და სომხეთის ფულს. მაშ საქმე ღირებულებად ქცეულის ნივთების რაოდენობის სიმრავლეში კი არ ყოფილა მხოლოდ, ყოფილა ამ ნივთების განაწილებაში და უმთავრესად ფულის ფასში. მაშ როგორ უნდა განვმარტოთ ჩვენი სახელი „სიძვირე". სიძვირე არის სუბიექტიური ნიშანი ღირებულებისა და აღნიშნავს ღირებულებათ ქცეულ ნივთების სიმცირეს, ერთს ანუ შეთანხმებულ ადამიანთა ხელში მათ დაგროვებას და ფულის ფასის დაცემას. ეს სამი მთავარი ფაქტორი, სრულიად ერთი მეორესთან დანათესავებული, ჰქმნის „სიძვირეს" ე. ი. ხელმიუწდომელ ფასს. განვიხილოთ ყველა მათგანი ცალ-ცალკე.

სამსონ ასათიანი

# ინგლისი და საქართველო.

### კონსტანტინოპოლი.

მარიამობისთვის 18, საქართველოს საგარეო მინისტრი ინგლისის ნალმოხანით ევროპას გაემგზავრა. გემის ადმინისტრაცია ე. გეგეჭკორს და მასთან ერთად საზღვარ გარეთ გამგზავრებულ მომარაგების მინისტრს ი. ჭავჭანიძე და საქართველოს წარმომადგენელს ინგლისის მთავრობასთან ლამბაშიძეს დიდი პატივისცემით შეხვდა. აგვისტოს 21 ინგლისის გამანადგურებელი ბოსფორში შევიდა და მივიდა ინგლისის დრედნოუტთან „რკინის ჰერცოგთან, რომელში" აც კონსტანტინეპოლში მყოფი ინგლისის უმაღლესი კომისარი და ფლოტის უფროსი დე—რობეკი ცხოვრობს რამდენიმე წუთის შემდეგ გამანადგურებელთან მივიდა გენერალურ შტაბის უფროსი ფიცერი, რომელმაც ადმირალ დე—რობეკის სახელით განაცხადა,: დე—რობეკმა მოგიხდომ მე ვეახლი და მივესალმო ძვირფას სტუმარს, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს და გარეშე საქმეთა მინისტრს ევ. გეგეჭკორს. ადმირალი უკვე საელჩოშია და უცდის მის მობრძანებას. შემდეგ გეგეჭკორი მისი თანხმლებლებით ჩაჯდა ნავში, სადაც მას უცდიდა ინგლისის საელჩოს მიერ გამოგზავნილი ავტომობილები; გამომგზავრებას და ლამბაშიძემ მთავრობის

...მინისტრაციას მოგზაურობის დროს გამოჩენილ მზრუნველობისა და განუსაზღვრელ პატივისცემისათვის. „ჩვენ შევასრულეთ ჩვენი მთავრობის ბრძანებაო“, უპასუხა პოლკოვნიკმა პოლასმა. სტამბოლში ე. გეგეჭკორმა პირველად ყოფნისა ინახულა საქართველოს საელჩო, რომელსაც კიდევ არ ქონდა მიღებული ცნობა მთავრობის თავმჯდომარის ჩასვლის შესახებ. რცხილაძე და მისი თანამშრომლები აღფრთოვანებით შეხვდენ გეგეჭკორს და მწუხარება გამოსთქვეს რომ არ იცოდენ მისი ჩამოსვლა და ამიტომ ვერ შესვდენ ისე, როგორც ეს საჭირო იყო. გეგეჭკორმა მეორე დღეს ადმირალი დე—რობეკი ინახულა. ინგლისის და საქართველოს წარმომადგენლების საუბარი ერთ საათზე მეტი გაგრძელდა. ამ საუბრის დროს დე—რობეკმა განაცხადა: საქართველომ სამართლიანად დაიმსახურა დიდი ბრიტანეთის ყურადღება. ახალგაზრდა რესპუბლიკამ დაამტკიცა, რომ იგი ღირსია იურიდიულად ცნობისაო. მე კატეგორიულად შემიძლია განვაცხადო, რომ ინგლისის მთავრობა ყოველ ზომებს მიიღებს, რომ უზრუნველყოს საქართველოს იურიდიული დამოუკიდებლობის ცნობა და მისი საერთაშორისო მდგომარეობა განამტკიცოსო.

## გრაფ დე-მარტელის გაცილება.

ამიერ კავკასიაში მყოფი საფრანგეთის უმაღლესი კომისარი გრაფი დე [illegible] ...ყურადღების უნარი. საქართველოს მთავრობა, თავის სახელმწიფოებრივობის შექმნის საქმეში, ისეთი თანხმობით მუშაობდა ხალხთან, რომ ევროპის ყურადღებაც კი მიიპყრო, რომელმაც თითქმის ერთი წლის წინად ფაქტიურად იცნო მისი დამოუკიდებულობა. სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას მალე იურიდიულადაც აღიარებენ. რამდენადაც ვიცი საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრი სწორედ ამ მიზნით გაემგზავრა ევროპას და სხვათა შორის საქართველოს მთავრობის შორსმჭვრეტელობა ამაშიც კი სჩანს. ჩემი მხრივ შემიძლია ვსთქვა, რომ საქართველოს იურიდიულად აღიარების მხურვალე დამცველი ვიქნები, როგორც კი ჩავალ პარიზს, გავაკეთებ ვრცელ მოხსენებას, სადაც აღვნიშნავ ამიერ კავკასიის და საქართველოს მდგომარეობას და იმასაც, თუ რას მიაღწია საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ეკონომიურ, პოლიტიკურ და სოციალურ აღმშენებლობის საქმეში. მე შევეცდები დავამტკიცო, რომ ქართველ ხალხს, რომელმაც აქამდინ მოაღწია, სრული მორალური და ფაქტიური უფლება აქვს დამოუკიდებლობის იურიდიულად აღიარებისა. მეორე საკითხი ისაა, რომ მჭიდრო ეკონომიური კავშირი დამყარდეს საქართველოსა და საფრანგეთს შორის. საფრანგეთი რომ საქართველოთი დაინტერესებულია, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ საფრანგეთის მთავრობამ საქართველოში ლიცეის გასახსნელად, თანახმად გრაფი დე-მარტელის შუამდგომლობისა, 1 მილიონი მანეთი გადასდო. ეჭვი არაა, რომ ასეთსავე ინტერეს გამოიჩენენ ვაჭარ-მრეწველთა და ფინანსისტთა წრეებიც სა[illegible] და, ეჭვი არაა, საფრანგეთი მიიღებს ზომებს საქართველოს საერთაშორისო და კერძოდ მისი ეკონომიური მდგომარეობის განმსამტკიცებლად.

## გერმანული პრესა.

**პოლონეთი და ვრანგელი.**

აქ მიღებული „კრასნაია გაზეტ“ იუწყება: ვრანგელს 70.000 ჯარის კაცი ყავს, მაშინ როდესაც საბჭოთა ჯარები აქ ძლიერ მცირე რიცხვს შეადგენენ.

თანახმად იმავე ცნობისა, პოლონეთის მთავრობამ, გენერალ ბრედოვის ყოფილ ლაშქრის ოფიცრები და ჯარის კაცები, რომლებიც პოლონეთში დააკავეს, ვრანგელის ჯარში გაუგზავნია.

პოლონეთის მთავრობამ სამხედრო ცენზურა დააწესა გერმანიაში გასაგზავნ და გერმანიიდან მოსულ წერილებზე.

**ქაღალდის ნაკლებობა ამერიკაში.**

ამერიკის ბაზარზე შენიშნულია ქაღალდის სიმცირე და შრომის ხელფასის გაძვირება. ამის გამო თანდათანობით ხდება ზოგიერთი მსხვილი გაზეთების გაერთიანება.

**საბჭოთა მთავრობის მისიის მდივნის დაპატიმრება.**

„ფოსიშე-ცაიტუნგის“ ცნობით ინგლისის მთავრობამ დააპატიმრა და დიდი ბრიტანეთის საზღვრებიდან გააძევა საბჭოთა რუსეთის ნიუორკში მყოფ სავაჭრო მისიის მდივანი მეორტევი. უკანასკნელად იგი ლონდონში კრასინს ეხმარებოდა.

## იტალიის პრესა.

**საპყრობილე(?) და მთავრობა.**

[illegible] ...ლი ბრძოლის წარმოება სპეკულიაციის წინააღმდეგ. კაპიტალისტებმა გადასწყვიტეს, სთქვა ჯიოლიტმა, მთავრობის პრესტიჟის დასაცემად მის წინააღმდეგ კომპანიის წარმოება სახელმწიფოში ხელოვნური ეკონომიური დაბრკოლებანი შექმნეს, დასცეს ფულის კურსი და ხელოვნურ გაფიცვების მოწყობასაც შეუდგნენ. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ასეთ მოქმედების გამოსარკვევად მთავრობამ აირჩია საგანგებო კომისია და იგი განსაკუთრებულ უფლებით აღჭურვა.

**როდის დაეცემა საბჭოთა მთავრობა?**

„ჩაიკაგო ტრიბუნ“ ბეჭდავს რუსეთში ამერიკის ელჩად ნამყოფ გ. ფრენსისისინს ნაამბობს, სადაც ის ამტკიცებს, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა 6 თვეში უეჭველად დაეცემა. ფრენსისი ამტკიცებს, რომ რუსი ხალხის მეათედიც კი არ უჭერს ბოლშევიზმს მხარსო, ფრენსისი დიდ დემოკრატიულ რუსეთის შექმნის საჭიროებას აღიარებს. ეს საჭიროა არა მარტო ევროპისა და განსაკუთრებით ცენტრალურ ევროპის წონასწორობისათვის, არამედ თვით დემოკრატიულ იდეების განვითარებისათვისაც, თუმცა ამერიკა არ ფიქრობს რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევას. მაგრამ მას თავის მოვალეობათ მიაჩნია ამერიკის ნოტაში გამოთქმული აზრი ამა, თუ იმ საშუალებით გადასცეს რუს ხალხს.

**წყალ-დიდობა ესპანიაში.**

ესპანეთიდან მოსული ცნობით ესპანეთის ზოგიერთ კუნძულზე დიდი წყალდიდობა ყოფილა. დაღუპულა მთელი ქალაქები და სოფლები.

## სტამბოლის ცნობები

**იაპონია და რუსეთი.**

მიღებული ცნობით იაპონიის მთავრობამ გამოაქვეყნა დეკლარაცია საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან დამოკიდებულების შესახებ. დეკლარაცია აღნიშნავს: დღეს რუსეთში არაა ისეთი მდგომარეობა, რომ მასთან მოლაპარაკება შეიძლებოდეს. ამიტომ რუსეთში ნორმალურ ცხოვრების აღდგენამდე და პასუხისმგებელ მთავრობის შედგენამდე იაპონია იძულებულია თავისი შეიარაღებული ძალები სახალინში სყიდოს.

**პოლონეთის შეტევა.**

მთავარი შტაბი იუწყება: პოლონეთის ჯარები წინსვლას განაგრძნობენ.

**მარიუპოლის დატოვება.**

კონსტანტინეპოლიდან იუწყებიან: გენ. ვრანგელის ჯარებმა მარიუპოლი დატოვეს.

## ლონის ცნობები.

**პოლონეთი და ლიტვა.**

[illegible]

## უცხოეთის ფინანსიური მდგომარეობა.

გაზ. „სამუსულმანო საქართველოში“ მოყვანილია შემდეგი ცნობები ევროპა-ამერიკის ეკონომიურ ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ.

საფრანგეთში მიმდინარე საბიუჯეტო წელს საერთო გასავალი გამოანგარიშებულია 17 მილიარდი 800 მილიონი ფრანკი შემოსავალი კი ნავარაუდევია 9 მილიარდი 310 მილიონი ფრანკი, დეფიციტი 8 მილიარდს და 490 მილიონ ფრანკს უდრის ე. ი. ეხლანდელ კურსით ქართულ ბონებზე ერთ მილიონ მანეთზე მეტი.

შემოსავლის განსხვავებას გასავალთან ქაღალდის ფულის ბეჭდით ფარავენ, რაც კიდევ უფრო ართულებს ისედაც აწეწილ ეკონომიურ მდგომარეობას.

ცენტრალურ ევროპის ოთხ სახელმწიფოში: გერმანიაში, ავსტრო უნგრეთში, ოსმალეთში და ბოლგარიაში 1914 წელს ხარჯებში იყო 1 მილიარდი და 200 მილიონი დოლარი (ამერიკული ფული) ქაღალდის ფული, 1919 წლის დამლევისათვის კი 18 მილიარდი და 770 მილიონი დოლარის. ე. ი. 4 წლის განმავლობაში [illegible]

ოქროს რაოდენობა კი ამ ხნის განმავლობაში 600 მილიონ დოლარიდან 327 მილიონ დოლარამდი შემცირდა [illegible] ...რიდა, 1919 წლის დამლევისათვის კი ეს ვალი 160 მილიარდს უდრიდა, ისე რომ ნახევრად გაიზარდა.

## სურსათის მიწოდება ქიათურის მუშებისათვის.

სურსათის მიწოდება ქიათურის მუშებისათვის. შრომის კომისარმა ქიათურის მუშათა მაგიდის მოქმედების შესახებ მოხსენება შეადგინა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ქიათურის მუშათა მაგიდამ სურსათის მიმღებნი 2 კატეგორიათ დაჰყო. პირველნი, რომელნიც გონებრივ მუშაობას აწარმოებენ და მეორენი ფიზიკურად მომუშავენი. პირველნი იღებენ ერთ გირვანქა პურს დღეში და ერთ გირვანქა შაქარს თვეში, ასეთივე რაციონს იღებენ მეოჯახე მუშები, მარტოხელნი იღებენ სამ გირვანქა პურს დღეში და სამ გირვანქა შაქარს თვეში. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მაღაროებში მუდმივად მომუშავე პირების მდგომარეობის გაუმჯობესება შეიძლებოდა, რომ მუშათა მაგიდას მეტი ყურადღებით მოეპყრობოდა მათზე იაფ ფასიან სურსათის მიწოდებას. ეს მით უფრო საჭიროა, რომ სახელმწიფოს სურსათით მომარაგების ფონდი თავის მიზნათ უმთავრესად ისეთ პირების უზრუნველყოფას ისახავს, რომლებიც ქვეყნის საწარმოვო ძალების განვითარებას ხელს უწყობენ. სურსათი, რომ სასურველად იქმნას განაწილებული საჭიროა გარკვევა ორი კატეგორიის მუშებისა, რომლებიც მრეწველობასთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული და რომლების მუშაობასაც დროებითი ხასიათი აქვს. უნდა ხელი შეუწყოთ მუშების სამრეწველო ცხოვრებასთან დაკავშირებას, განსაკუთრებული ყურადღება იმათ უნდა მიექცეს, ვინც მუდმივ მუშაობს მაღაროებში და მათი ცხოვრება შედარებით დროებით მუშებთან მეტად უნდა გაუმჯობესდეს 1, მუდმივი მუშებისათვის უკეთესი პირობები უნდა შეიქმნეს 2 მუშათა მაგიდა შემთხვევით მუშებზე მზრუნველობისაგან უნდა განთავისუფლდეს 3 ხარჯის ნაწილი მრეწველებს უნდა გაეწეროს შრომის კომისარის აზრით იმ მუშებს, რომელიც ფიზიკურ მუშაობას ეწევა უნდა მიეცეს დღეში 2 გირვანქა პური რაც შეეხება შაქარს, აქ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს დადგენილება სწორი არ არის, ვინაიდან გონებით მომუშავეებს უფრო ჭირდება შაქარი, ვიდრე ფიზიკურათ მომუშავეებს, ვინაიდან შაქარის რაციონის გადიდების საშუალება არ არის, ჭიათურის მუშებს შაქარი საერთო ნორმის მიხედვით უნდა მიეცეს ე. ი. სულზე ერთი გირვანქა.

## ქემალ ფაშის დამცველები.

თბილისის გაზეთებში დაბეჭდილი იყო ბრძანება ბათომის და მისი ოლქის საგანგებო კომისარის, „მთლიან საქართველო“-ს დახურვის შესახებ.

ეხლა დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა მეორე ბრძანება, რომელსაც არ

[illegible]

## ახალი ამბები

**მთავრობაში.**

— **მეორე ინტერნაციონალის დელეგაცია.** მთავრობის თავმჯდომარემ რომიდან გვარჯელაძესაგან მიიღო ასეთი შინაარსის რადიო: სექტემბრის 4 გამოვედით ტარენტოდან. სექტემბრის 14 ბათომს ვიქნებით. საქართველოში მოდიან: კარლ—კაუტსკი, ლუიზი კაუტსკისა, ინგლისიდან: მაკდონალდი, ტომას შოუ, და ქ-ნი სნოუდენი, საფრანგეთიდან: რენოდელი და მარკე; ბელგეთიდან: ვანდერველდე, ჰიუსმანსი, ჰიუსმანსის ქალი ჰიუსმანსის მეუღლე და დებრიუკერი. სულ 15 კაცი.

**სამინისტროებში.**

— **საქართველო და რუსეთი.** სექტემბრის 8 საღამოს 6 საათზე, ფინანსთა სამინისტროს ბინაზე მოხდება ამავე სამინისტროს საბჭოს საგანგებო სხდომა, სადაც გაირჩევა საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის დასადებ ხელშეკრულების პროექტი. ამ პროექტით უნდა იხელმძღვანელოს გ. მახარაძის ეკონომიურმა მისიამ, რომელიც სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად ამ დღეებში რუსეთს მიემგზავრება.

**დამფუძნებელ კრებაში.**

— **გერმანიის მისიის შუამდგომლობა.** გერმანიის მისიამ შუამდგომლობა აღძრა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წინაშე, რათა მის წარმომადგენელს უფლება მისცენ დამფუძნებელ კრების ბიბლიოთეკით სარგებლობისა. დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმმა ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

— **სამკურნალო დახმარება.** დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა აღძრა საკითხი დამფუძნებელ კრების მოსამსახურეთათვის სამკურნალო დახმარების აღმოჩენის შესახებ.

# დ ე პ ე შ ე ბ ი

## ინგლისური პრესა.

**საქონლის შემოტანა ბათომში.**

„ბაუარ-ოფ-ტრეტ-ჟურნალი“ იუწყება: უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში ბათომში შემოიტანეს 546. 361 ფუთი სურსათ-სანოვაგე, 22. 455 ფუთი სპირტი, 9. 115 ფუთი ქონი, 107. 100 ფუთი რკინეულობა და ქიმიური ნივთიერება 9. 220 ფუთი მატყლი, 21. 400 ფუთი ტყავი და ქაღალდი და 27. 510 ფუთი მანუფაქტურა.

**უკრაინის დამოუკიდებლობის საკითხი.**

„ეგერ ამენდი“ იუწყება: ანტანტის წრეებში კვლავ დგა საკითხი უკრაინის დამოუკიდებლობის ფაქტიური ცნობის შესახებ.

**ოსმალეთთან ხელშეკრულების საკითხი**

ხელშეკრულების თანახმად ოსმალეთის ჯარი უნდა შესდგებოდეს 5 დივიზიისაგან. თვითეულ დივიზიის ჯარის რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 3000 კაცს. ამ ჯარს სულ 845 უფროსი ეყოლება.

# ბ ა თ ო მ ი

## მალიარიის ჩვენება.

ქალაქებსაც აქვთ თავისი ანალოგია ბათომი და პეტერბურგი ანალოგია პოლუსების.

ჩრდილოეთის თეთრი ყინვა და შავი ბურუსი—ჰაოსის ანთება.

პეტერბურგი.

სამხრეთის გახელებული სიცხე—მზე დახურული ჰაოსის ანთება.

ბ ა თ ო მ ი.

ფოსფორიული ჩვენება, გაქვავებული კარიატიდები, ეფემერული კარუსული, მიმფრინავი ჰოლანდიელი ბრინჯაოს ცხენით დოდევნებული იმპერატორებს, „ადმირალის ისარი“ უცხო სახრჩმელა და მირაჟის ყელსახვევი.

პეტერბურგი—როგორც მაცდური ჭკუის ჩვენება და ასე აწამა იწამა ანდრეი ბელიმ პეტერბურგი, კოშმარით რომ ახრჩობდა დასტოევსკის, რომელმაც იცოდა, რომ პეტერბურგი დაიღუპებოდა. და გამოიტირა რასკოლნიკოვის ტანჯვით.

ნევრასტენია—არ არის მარტო ახალი მიგონება.

ყველაზე ნათელი პუშკინიც გრძნობდა ადგილიდან დაძრულ პეტერბურგს—შეიძლება ითქვას კიდეც—მისია ეს პირველი პეტერბურგი თავიდან ბოლომდი მიდიოდა პოეზიაში: მან დაჰკარგა თავისი პირველი სახე და მიიღო მეორე მხატვრული სიმბოლოს ჩვენება და გამართლებულია სამუდამოთ. რუსეთის პოეზია, ვერასდროს ვერ დაივიწყებს ამ ჰაოსის ანთებას, და „ქინის“ გემოს (ა. კრუჩონიხი). ყოველი ქალაქი, რომელიც გამზადებულია პოეზიისთვის ასე ათავებს თავისყოფნას.

ბაღდათი, დამასკი, სიდონი, ბაბილონი, რომი, პარიზი პეტერბურგი.

ქალაქების, სახელები ისე უნდა ჩამოითვალოს, როგორც სახელები პოეტების, არიან ქალაქები, რომელთა ერთი გახსენება—გულისხმობს პოეზიას:

Сидонъ я покарилъ и камни бросилъ въ море“ (ვ. ბრიუსოვი) მოსკოვი არსებობდა პეტერბურგამდე... მოსკოვი მაშინ მესამე რომი იყო როცა შეშლილი იმპერატორი ჰაობიდან სუნთქავდა ოკეანეს ივრცეს, პირველათ ეს იყო თამაში... ჰოლანდიელი დურგალი, თვითონ არ მოელოდა, რომ გიგანტიურ ვერფებში დაახრჩობდა რუსეთს. პეტერბურგი პუშკინმა სარძლოთ გამოაცხადა—მოსკოვი ქვრივ დედოფალათ. პეტერბურგი მოკვდა, როგორც პოეზიის სარძლო მაგრამ ბებერი მოსკოვი—ვერასდროს ვერ ავა პოეზიამდე. ყველაფერი, რაც იყო რუსეთში მეშჩანური, რაც იყო ნიადაგის და მიწის, ნამდვილი რუსული „სამოდლოდჯირული“ დაქინებით აწვებოდა მოსკოვს... რუსეთის კომუნიზმის პირველი დამარცხება ის არის, რომ მან პეტერბურგი დატოვა... ქვეყანაზე არ იქნებოდა ისეთი ფონი კომუნიზმისთვის, როგორც პეტერბურგი. მესამე ინტერნაციონალს, თუ ბედით ეწერა, ყოფილიყო მსოფლიო იქნებოდა პეტერბურგში. მოსკოვის ქუჩებზე ვერასდროს ვერ გაიარს ედგარ პოსლანდი, ბოლშევიკები მატროსები—მოსკოვში მხოლოდ ყასბები.

მეორე სასწაულის ფასიანი პრობლემაა მოხეტიალე მატროსები ეფემერულ რუსულ ფლოტის—ეს მატროსები პეტერბურგის დაუშორებელი ორეულები არიან.

უცხარი და უცნაური ანალოგიები მაღელვებენ დღეს.

ამ ფიქრებს არ აქვთ სხვა გამართლება, გარდა იმისა, რომ ერთხელ შეჩერდა იმათზე გონება. ...და მე მგონია რომ თფილისი იგივე მოსკოვია. მოსკოვი პრეტენდენტი მესამე რომის—თფილისი პრედენდენტი მეორე ბაღდათის თფილისი ადგილიდან ვერ დაიძრევა, თფილისი მაგრად არის ჩამჯდარი გამოქვაბულში, არც ერთ პოეტს არ უცდია ჯერ თფილისი აეჩრადებია... თფილისი აღარ შობს უკვე პოეტებს, ამაში უნდა გამოვტყდეთ. პერიოდი ძველი ყაბახის და სპარსული მუხამბაზების, გათავდა. გრიგოლ ორბელიანმა და ალექსანდრე ჭავჭავაძემ თვითონ გაასვენეს თავიანთი თავი საკუთარ სიმღერით—მათი ხმა არავის გაუმეორებია. ყოველი ცდა „ყარაჩოღულ“ სტილის აღდგენის თავის გდება პოეზიაში მაინც, ამას ვგრძნობ აშკარათ.

არა ეროვნული პარტიკულიარიზმი—ჩემში პატრიოტიზმი ისე ძლიერია, როგორც პოეზია:—არამედ ფაქტის აღნიშვნაა, რომ იმერეთი იწყებს ახალ პოეზიას.

იმერეთი—ქიმერების ქვეყანაა.

საჭიროა მიუმატოდ მხოლოდ ერთი ასო, რომელიც თვითონ აგავს ქიმერას ქ—იმერეთი.

ეს ახალი ღელვა—და მალიარიის გაქანება პოეზიაში. რამდენ ქიმერიულ პოეტებს დაითვლის იმერეთი და რა ცოტა უღირდა ვალერიან გაფრინდაშვილს გაექანებია ქუთაისი ლექსში:

„ქუთაისი ქარში“...

ახალი პოეზია მიდის სწორეთ ამ მალიარიის ნიშნით., ამით გვდაღას ტროპიკი.

...და მე მელანდება დღეს ბათუმში, რომ ბათუმი გახდება ჩვენთვის პეტერბურგათ... რომ გაიშლება მზის მირაჟი და იქნება მზის მოვარდნა „ფარშავანგები ქალაქში“ პაოლო იაშვილის „პაჟი“ გრიგოლ რობაქიძის ბაიომსაც აყვება „ქინის“ გემო, ფანტასმაგორიული ვერფები აბნელებენ თვალებს და გიგანტიური ბანანები დგანან, როგორც ლოგინი—სახრჩობელა, ფოსფორიული ანარეკლით მიდიან შამიაბანში გემები, წინ ვგრძნობ იმ დანგრეულ სანაოსნოებს და დამშრალ სადგურებს როგორც ჩემ ორპირს.

ვხედავ ახლა არგონავტებს. არგო—გემია პოეზიის, ჩვენ მივიტანთ ოქროთ დაფერილ ლექსებს (ერთად ერთი მოხმარება „ოქროს ვერძის“).

ოქროს ფერი-ფერია მზის ამოსვლის და ჩასვლის. ჩამავალ მზეს მოაქვს მალი არია.

აქ არის გადატეხილი ხმალი გიორგი სააკაძის და ლ. გუდიაშვილის პორტრეტი გრიგოლ რობაქიძისა, ნიკოლაი ფიროსმანის სარდაფებში დახატული მთვრალი ხომალდები და ლაზი პირატები. პოეტი ვასილგამი ქამის დროს სვამს ამ სადღეგრძელოს.

და ყველაფერს, როგორც „ფეერიულ ტაძრის“ გუმბათი, თავზე ახურავს ბათომი.

ჩვენ ბევრი ვართ ბათუმში: უბრალოებით გულში და ფოლადის სიმტკიცით ხერხემალში. მენშევიკები თითქო უდარაჯებენ „ევროპას ფანჯარას“, მე პირველათ ვხედავ ოკეანეს და ჩემში მღერის ლოტრეამონი.

„Привѣтсвую тебя старый Океанъ, Великій Безбрачникъ..

მონმანისთვის დიდებულია საოცნებოთ ბათომი.

ტიციან ტაბიძე.

— კონსტიტუციის პროექტი. დამფუძნებელი კრების [illegible] ამხანაგმა ს. მდივანმა გადასცა დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიას [illegible] კონსტიტუციის პროექტთა კრებული, რომელიც [illegible] შეუდგენია.

## მუშათა ცხოვრება.

— [illegible] მელითონეების მუშების [illegible] კავშირის სატარიფო პალატამ [illegible]

## სხვა და სხვა.

— [illegible]

— [illegible] № 68, [illegible] 13950 მან. [illegible]

— [illegible]

## ფოსტა და ტელეგრაფი.

— [illegible] ფოსტო ოპერაციებისაგან 4.203.000 მან. სატელეგრაფო განყოფილებისაგან— 4.560.000 მან. ტელეფონებიდან — 2.240.000 მან. სულ შემოსავალი— 11.003.000 მან. წარსულ წლის ამავე თვეში გაცილებით ნაკლები ყოფილა შემოსავალი.

— გახსნა. ფოსტა ტელეგრაფის განყოფილებანი გაიხსნა წინანდელში (თელავის მაზრა) და თერჯოლაში (შორაპნის მაზრა).

# ბათომი

**რუმინეთის გემი.**

— ბათომის ნავთსადგურში დაიქირავეს უცხოეთის ერთი დიდი გემი რუმინეთში საქართველოში ნაყიდ ნახშირის წასაღებად, იმავე გემმა რუმინეთიდან საქართველოში პური უნდა მოიტანოს.

— ნავთი მცხოვრებლებს სასურსათო განყოფილება აცხადებს, რომ ნავთზე დაწესდა ახალი ნიხრი მე 6-7-8 9-10-11 და 12 კომისარიატის რაიონებში ნავთი მცხოვრებლებმა ფუთი 320 მან. მიეცემა. (გირ. 8 მან.) 1-2-3.4 და 5 რაიონებში ფუთი 330 მან. (ელირება) გირვანქა 8 მან. 25 კაპ.

**გ ე მ ე ბ ი.**

ბათომის ნავთ სადგურში სდგას ოთხი სამხედრო გემი ინგლისის ნაღმოსანი კრეისარი „კონკორი" იტალიის ნაღმოსანი კრეისერი „აკერდაგი" საფრანგეთის ნაღმოსანი" განიური და ამერიკის.

# ამხანაგებს პროვინციაში.

ყველა ჩვენს მკითხველს, თანამოაზრეთა და პარტიის წევრთა, რომელნიც მუშაობენ ეკონომიურ, კომერციულ, კოოპერატიულ ან სამეურნეო დაწესებულებებში, თბილისში თუ პროვინციაში, დაბეჯითებით ვთხოვთ, მოგვაწოდონ ცნობები ეკონომიური ხასიათისა.

არსებულ კრიზისის დაძლევა შეიძლება მხოლოდ სინამდვილის დეტალურად შესწავლით. ყოველი ცნობა ამ მხრივ რედაქციის მასალებისათვის ფრიად ძვირფასი შემატებაა.

ყოველი შეგნებული მოქალაქე უნდა ადევნებდეს თვალყურს სახალხო მეურნეობისა, როგორც ქალაქთ, ისე სოფლად. ყოველმა ჩვენგანმა თავისი წვლილი შეიტანოს საერთო მუშაობაში, ეს ფრიად გასაუმჯობესებლათ. პირველი საჭიროა ცნობების შეკრება სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ყოველდღიურ ვითარებაზე, შესახებ: ჰავის ზეგავლენა მოსავალზე, მოსავლის ავკარგიანობა ამა თუ იმ რაიონში, მუშის ხელფასის [illegible] გადიდება, სხვადასხვა თუ უწესრიგობა [illegible] შეცდომები ამა თუ იმ დარგის მეთაურთა, თუ მოხელეთა მიერ, თვითნებობა და [illegible] წარმოების სოფლად და ქალაქად, [illegible] და სხვა [illegible] მთლიანობის სათანადო დაფასებისათვის. ამაში ყველამ ერთად უნდა ვიმუშაოთ.

ამნ, მოგვაწოდეთ ცნობები.

ცნობები უნდა შეიცავდეს გარკვევით და მკაფიოდ ცნობილ ფაქტებს დროისა და ადგილის აღნიშვნით. წერილები უნდა იყოს დაწერილი სუფთად და გარჩევით.

# წერილი ქართლიდან.

**2.**

არვიცი რა იყო მიზეზი, ის ბოლმა და გულჩახვეულება თუ რა, რომ რევოლიუციის პირველ ხანებში ქართლს ყველაზე დიდი ბობოქრობა და მღელვარება დაეტყო. შეიძლება დაგროვილ ენერგიას სხვა მხრივ გზა არ ჰქონდა გაეკვლია? არავის არა ჯეროდა რა, არა სწამდა რა, „ჩამოგვეცალეთ, გზა მოგვეცით"... შეჰკივლებდნენ ხოლმე მათ, ვინც წინად სათაყვანოდ ჰყავდათ. სძულდათ საშინლად, რომ სხვა მიდიოდა „ჭკუის სასწავლებლად„. „რა მიქვიან,— იტყოდნენ ხშირად,—გადამთიელები მოსულად და აქ ჭკუას გვარიგებენო"... ვერ ინელებდნენ სხვის მითითებას: „ჩვენ გავაკეთებთ, ჩვენ უპატრონებთ ჩვენს თავსო"... და მართლაც არავის არ იკარებდნენ. ბოროტებას ჰხედავდნენ, როდესაც პარტიის წარმომადგენელნი მიდიოდნენ და ერთმანეთში კამათობდნენ, არაფერს არ უთმობდნენ ურთიერთს, ჰლანძღავდნენ, ხშირად მთელი დიდი კრებული დაშლილა, საბოლოო სიტყვა არ უთქვამს. „ჯერ თვით მორიგდითო, მერე ჩვენთან მოდით და ჭკუა ჩვენ გვასწავლეთო"... ინტელიგენტები ქვეყნის ამრევებათ მოევლინენ ქართლს, „ორ კაცს ვერ ვხედავთ ერთი აზრი ჰქონდეს და ქვეყანას, როგორ გაუძღვებიანო". იტყოდნენ ხშირად მწუხარეთ და ბრაზ მორევითაც. და ეს იყო მიზეზი, რომ პირველ ხანებში ქართლი ინტელიგენციას აღარაფერს უჯერებდა, ათვალისწინებული ჰყავდა და როდესაც არა სასურველმა ინსტიქტებმა გაიღვიძა მათში, ხელის დამშლელიც არავინ ჰყავდა და თუ დაუშლიდა, მკაცრად შეჰბუზღუნებდა და გზიდან ჩამოიშლიდა. მართლაც, ერთი ხანობა კულტურული მუშაობა შეწყდა, მოდუნდა არა კეთდებოდა რა. მაგრამ აი განვლო ამ პირველ შფოთმა და ქართლიც ჩვეულებრივ ჩავარდნილა თავის კალაპოტში და დაუწყვია თავისი ჩუმი მუშაობა. ინტილიგენტობა კვლავ სჩანს ქართლის სოფლებში და თავის მოძმეებთან ერთად განაგრძობს კვლავ შემოქმედებით მუშაობას. დღეს კულტურულ ცენტრად ყველა მაზრებში ერობები გადაიქცნენ და ყოველგვარი მუშაობა მათ გარეშემო ტრიალებს, ყოველ დიდ საქმეს იგი იწყებს და იგი უძღვება და შეძლებისა [illegible] დანარჩენი საზოგადოება მხარში უდგება, თუმც ზოგჯერ ხელის შეშლასაც შესამჩნევს კაცი, მაგრამ ეს იმდენად უმნიშვნელოა, რომ საერთო მუშაობას ხელს არ უშლის. როგორც ახალი დაწესებულებაში გორის ერობაშიც ზოგჯერ ხდება ისეთი ექსპერიმენტები, რომელნიც შეიძლება ერისათვის საზარალოც იყვეს, მაგრამ იქ სადაც დაძიან უეჭველად წაიქცევიან კიდეც, სადაც დიდი სასახლე შენდება პატარა უეჭველად იქცევა, მაგრამ გამოირკვევა ყოვლის დანიშნულება და მაშინ ყველა თავის დანიშნულებასაც მიაგნებს. დღეს გორის ერობა უეჭველად ისეთი დაწესებულებაა სადაც სწყდება ქართლის ჩაჭირბოროტო საკითხები და რომელიც პირნათლად, დღევანდელი პირობების მიხედვით, უძღვება საერთო საქმეებს. წინანდელ დროს, როდესაც ასეთი დაწესებულებანი საქართველოში არ იცოდა გორის მაზრაში სკოლები თითზე ჩამოითვლებოდა, რამდენიმე კივკიტებდა აქა იქ, ნახევრად დანგრეულ შენობებში, ექიმი სოფლად ორი იყო თუ სამი, ავადმყოფი უვიცობაში და უექიმოდ, უწამლოდ სულსა ჰლაფავდა. დღეს კი იშვიათად შემხვდა სოფელი ასე თუ ისე შესამჩნევი, სადაც სასწავლებელი არ დაარსებულიყოს ან განზრახული არ იყვეს სამოსწავლო წლის დაწყებისას. მისი გახსნა და ამ მოვლენას ქართლელიც შუბლ გახსნილი ჰხვდება. წინად თუ თავის ბალღს არ მოაშორებდა გუთანს და ერთი ალო ერჩივნა მის „წიგნის სწავლას" დღეს სიამოვნებით უკერავს სუფთაა აბგას და შკოლისკენ გულმხიარულ ჰგზავნის იმ იმედით, რომ თუ იგი ვერ მოესწრო გონებით შეგნებულ ცხოვრებას, მისი შვილი მაინც მოესწრება და იმ წამალს, რომელსაც დღეს სოფელში გამწესებული და უკვე მისი მეზობელი და მოჭირნახულე ექიმი უწერს მისი შვილი თავისუფლად წაიკითხავს. და აი მართლა ქართლში უკვე (სოფლებში) ოცდა ერთი ექიმია და მათთანავეა წამალხანა და საავადმყოფო.

ყოველ მაზრაში დიდ ყურადღებას იქცევს გზები, მათი უვარგისობა და ყოველთვის აღინიშნება ხოლმე საჭიროება მათი შეკეთებისა და გორის სამაზრო ერობასაც სათანადო ყურადღება მიუქცევია ამ მხარისათვის. განუზრახავს გორი-ცხინვალის შეერთება რკინის გზით. მართლაც და სწორედ ნამდვილათ აუცია ალოო ქართლის ამ ორი დიდი ცენტრის შესაერთებლად. ამ საქმისათვის უკვე წინასწარი მომზადება და მუშაობა სწარმოებს, მხოლოდ საქმე იმაზეა, რომ მთელ ამ ხეობის მცხოვრებმა უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ საქმის მალე დასამთავრებლად. და ერობის ხელმძღვანელებს გაუწიოს სათანადო დახმარება. არ შემიძლიან აქ არ აღვნიშნო ერთი რამ; ხალხში ხმა დადის, რომ ამ გზამ საკაშეთზე უნდა გაიაროსო. არა მგონია ერობის ხელმძღვანელნი ამ აზრს იზიარებდნენ და მხარს უჭერდნენ, ვინაიდგან თუ გზა იმ მხარეს გაივლის, მაშინ სრულიად მოწყვეტილი დარჩება ქართლის თვალსაჩინო და ყველაზე შემოსავლიანი მხარე. ეს მხარეა ტყვიავისა, რომელიც ცენტრია ქართლის მეხილეობისა და დიდი ნაწილი ქართლის ხილისა სწორედ ამ მხარეშია, და რკინის გზა რომ ასცდეს ამ მხარეს მაშინ თვით ერობაც დიდ შემოსავალს დაჰკარგავს, რომელსაც ეს ხილი ჰპირდება და შეიძლება ამ კულტურულმა მეურნობამაც ძალიან იკლოს. ამ მხარეში, რაც უეჭველად ეროვნულ ზარალი იქმნება. მით უმეტეს გორი-ცხინვალის გზაც ამ მხარეზე და პირდაპირი ტყვიავზე გადის კიდევ შეიძლებოდა ამ მხარის უპირატესობათა ჩამოთვლა, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ერობის ხელმძღვანელებმა ეს ყოველივე კარგად იციან და საჭირო არ იქნება ამ უპირატესობათა ჩამოთვლა.

კიდევ მრავალ საქმეთა ჩამოთვლა შეიძლებოდა, როგორც თეატრის აშენება (ქალაქ სურამის თვითმართველობა). არხების გეგმები და სხვა, მაგრამ აქ შევჩერდებოდი და უსურვებდი ძვირფასს ქართლს წარმატებას და კვლავ მხურვალე მუშაობას თავის განუშორიებელ ძვირფას სიდინჯით და სიწყნარით.

ნ. კე—ლი.

# ჩვენი კორესპოდენტები

## წერილი თიანეთიდან.

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-სოციალურ მდგომარეობას ჯერ სავსებით ვარკვეული სახე არა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ფაქტიურად იცნო ევროპამ და „აგრარული რეფორმა", თუ მას რეფორმა შეიძლება ეწოდოს, უკვე გატარებულია ცხოვრებაში. ამის მიზეზს მეტ შემთხვევებში ჩვენი გაბატონებული პოლიტიკოსები ეძებენ თავის გარეშე და ხან კონტრევოლიუციის ლანდებს ებრძვიან კალმით და ხმალით და ხან ჩვენ გლეხ-კაცობის „გაწითლება" და გაკომუნისტება უფრთხობს ძილს. მაგრამ თუ დავაკვირდებით არც ერთს და არც მეორეს ადგილი არა აქვს ქართველ ხალხის ცხოვრებაში, ვინაიდგან იგი ბუნებით თავისუფლების მოყვარულია და კერძო მესაკუთრეობის ტრადიციებზეა აღზრდილი; ამიტომ საკმარისია იდეია დემოკრატიზმისა განხორციელდეს, სამართალმა და მტკიცე კანონმა ფესვი გაიმაგროს, ჩამორთმევის და წართმევის წესი მოისპოს, რომ მივაღწიოთ სახელმწიფოებრივ კეთილდღეობისა და მყუდროებისა. საუბედუროდ, თითქო განგებ, არ ვიტყვი მთავრობაზედ, მაგრამ სამაზრო ერობები, წვრილი ერთეულები, თემები და სხვა მაგისთანები ხალხში უკმაყოფილებას სთესვენ თავის მოქმედებით და ყველას სამშობლოს აძულებენ. განა ჩვენი გლეხკაცი იცნობს ნ. ჟორდანიას და ნ. რამიშვილს, როგორც მთავრობას? არა, მისი მთავრობა თემის თავმჯდომარეა, კომისარია, მილიციონერია და ამიტომ მისი აღშფოთება მექრთამეობისა, და ნათლიმამობისა წინააღმდეგ არის მაჩვენებელი სამართლიანი წუწუნისა და თუ ამას ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა, დასცემს პრესტიჟს არა მარტო ადმინისტრაციისას, არამედ მთავრობისაც. სოფელ ბილდაში ერთი აღმაშფოთებელ ფაქტს ჰქონდა ადგილი, ერთი ბაჭრიანული მცხოვრები ჯერ აწამეს საშინლად: პირზედ საწამებელი, სულისშემხუთავი ბადე გაუკეთეს, დააგორიალეს, შემდეგ სცემეს და მეორე დილას დახვრიტეს. ამბობენ, ამ კაცს არავითარი ბრალი არ მიუძღვის ყაჩაღების აგენტობაში და მთელი სოფელი მზათ არის ამაზედ გაიფიცოსო. მაგრამ გინდა დამნაშავე იყოს, რა არის წამება! პირზედ ბადის გაკეთებას და ადამიანის დახრჩობას განა ადგილი უნდა ჰქონდეს მე-20 საუკ. და ისიც დემოკრატიულ სახელმწიფოში! ამბობენ, რომ მაზრის კომისრის თანაშემწე ვინმე სოლოღაშვილი ხშირად მიჰმართავს ხოლმე ამ საშვალებასაო. იყო კიდეც შემთხვევა, რომ ერთი დატუსაღებული ყაჩაღი თემის თავმჯდომარეს გაუშვია, ამანაც გამოიწვია ხალხის პროტესტი მის შემდეგაც ყაჩაღი ხელმეორედ დატუსაღებულ იქმნა. ამ რამდენიმე დღის წინად ვიღაც უპასუხისმგებლო პირს დაესმინა სოფელ ფშავლის მასწავლებელი დალაქიშვილი, ვითომც მას რაღაც კავშირი (!) აქვს ყაჩაღებთან. სხვათა შორის ამ მასწავლებელს მთელი მაზრა იცნობს, როგორც პატიოსან და უანგარო მოღვაწეს. და აი, მაზრის კომისარმა საქმის გამოუძიებლად დაატუსაღა იგი და იმწამსვე ჩააგდო „გალიაში", სადაც ამწყვდევენ ჯიბგირებსა და ქურდებს. ეს იცოდა ერობამ და მიუხედავად იმისა რომ მასწავლებელთა კავშირის წარმომადგენლები მივიდნენ და ითხოვეს საქმის გამოძიებამდე განთავისუფლებინათ მასწავლებელი დალაქიშვილი, მაინც არ შეიწყნარეს თხოვნა. ბოლოს კომისარმა გაათავისუფლა იგი მეორე დილაზედ როდესაც უნდა დაეკითხათ ცამბეზღებელი. დაკითხვამ ვერავითარი შედეგები ვერ მოიტანა და შეურაცხყოფილ მასწავლებელს მისცეს ნება დაბრუნებულიყო სოფელში. როდემდის უნდა გაგრძელდეს ამისთანა თვითნებობა.

გ. ყორჩიბაში.

## თერჯოლის თემი.

კვირას, მარიამობისთვის 22, თერჯოლის სამმართველოს, დარბაზში, შესდგა თერჯოლის თემის ხმოსანთა კრება. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მასწ. დუდა ლალაძე, მდივნად სანდრო კირკიტაძე. საკითხები ბევრი იყო გასარჩევი, მაგრამ პირველმა საკითხმა—გამგეობის შვიდი თვის მუშაობის დახასიათებამ ისეთი კამათი გამოიწვია, რომ ბევრი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი. გაურჩეველი დარჩა. სასაცილო იყო ერობის თავმჯდომარის ს. კვინიხიძის თავისმართლება. მას ხუმრობით უნდოდა თავისი ცოდვები გადაეფურჩნა. მაგრამ ამ შორს გამჭვრეტმა ხმოსნებმა გაუგეს ეშმაკობა და ისეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდეს იგი, რომ სხვა მის ალაგას თერჯოლაში აღარ გაჩერდებოდა; მით უმეტეს, როცა ხმოსნებს გარდა, ბევრი მაყურებელი იყო. ბევრი, ძალიან ბევრი შეცდომები ქონდათ დაშვებული: „ეს ყველაფერი გამოუცდელობით მოგვივიდა, ეს ჩვენი ბრალი არ არის, სასწორმა მოგვატყუა, თითოს ორი გირვანქა მეტი გავატანეთ შეცდომით. გირვანქა ნახევარზე, მეტი ქვა იყო, კითხეთ თუ გნდათ ამას, მეურმემ მოგვატყუა. 10,000 მან. ჩემი საჭიროებისთვის გავფლანგე" და სხვა...

აი ერობის თავმჯდომარის თავის მართლება. სასაცილო იყო ასეთი განცხადება, სატირალი რომ არ ყოფილიყო.

ეროვნულ დემოკრატიულმა პარტიამ თავისი ხმით გაიყვანა გამგეობაში მათე მაკარიძე, ნაცვლად მიხ. ქოჩია შვილისა, რომელმაც თავისი სურვილით გამგეობის წევრობაზე უარი განაცხადა.

ვ. გუგუნავა?

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: ხ. კედია.

**სამკურნალო**
ელექტრონის რენტგენის და სინათლის
**მიხეილ გედევანიშვილისა**
დღისით 12—2 საათ. საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე.
3102. თვ.

# რუსეთის პრობლემა და კავკასია

**4.**

**რუსული იმპერიალიზმი.**

სოციალისტების აზრით იმპერიალიზმი და კაპიტალიზმი ავაზაკობაა და ბოროტება, რომელიც უნდა მოისპოს ქვეყანაზე; მაგრამ სპენსერი ამტკიცებს, რომ ინტეგრაცია და დეზინტეგრაცია სოციალური ცხოვრების კანონია და ერთნაირად, პარალელურად ვითარდებიან. ხოლო სოციოლოგი ტარდი ამტკიცებს, რომ სოციალური კანონები ისეთივე მტკიცე და ურყეველი არიან, როგორც ბუნებრივი, მექანიკური კანონები. ამიტომ იმპერიალიზმი, ანუ ინტეგრაცია იქნება უკუნისამდე, ხოლო სხვა და სხვა სახით,—როცა ერთი მოზერდება და დახავსდება, გაჩნდება სხვანაირი ინტეგრაცია. სოციალურ ცხოვრებაში მოქმედებს ისეთივე კანონი, როგორც მექანიკაში: ერთი ძალა მიისწრაფვის ცენტრისაკენ მეორე ამისი მოწინააღმდეგე ცენტრს ელტვის.

ადამიანი სოციალური არსებაა, და მარტოდ მარტო ცხოვრება არ შეუძლიან, უთუოდ მეზობლები უნდა ჰყავდეს, ჯგუფ-ჯგუფად უნდა იცხოვრონ. უმცირესი ჯგუფი არის სოფელი, სოფლები ერთდებიან მაზრაში და მაზრები გუბერნიაში და გუბერნიები სახელმწიფოში. გარეშე სახელმწიფოსი ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელია. ამიტომ ყოველ ერი სცდილობს თავისი სახელმწიფო მოაწყოს, ხოლო ყოველი სახელმწიფო ცდილობს თავისი საზღვრების გაფართოებას. აი აქედან წარმოიშობა იმპერიალიზმი. ტარდი (იხ. კანონები მიბაძვისა) ამბობს, რომ ყოველი ერი სცდილობს თავისი სამფლობელო გააფართოოს, ისე როგორც დამდგარ წყალში ჩაგდებული ქვისაგან ატეხილი ტალღები ვრცელდებიან ე. ი. ყოველი მიმართულებით.

თავად ასე ვრცელდებოდნენ და ფართოვდებოდნენ იმპერიები, მაგრამ ევროპის იმპერიალიზმს აქვს თავისი კულტურული გასამართლებელი საბაბები. როცა სამეზობლოში რამე გადამდები სენია, ის საშიშია და ყველა სცდილობს ამ სენის ამოფხვრას. ასეა სახელმწიფოთა შორისაც: როცა ერთ სახელმწიფოში უწესობაა და არეულობა, მეზობელ სახელმწიფოს ეშინიან ამ არეულობის გადადებისა და სცდილობს მოსპოს ეს არეულობა, თავს მოახვიოს თუნდ ძალითაც, თუ მოახერხა, მეზობელს თავისი წესწყობილება.

როცა ევროპის იმპერიები იპყრობდნენ ახალ კოლონიებს, ახალ ქვეყნებს, იქ შეჰქონდათ თავიანთი ცივილიზაცია: სახელმწიფო სამართალი, რომელსაც მოჰქონდა თან აზროვნების, სინდისის და პიროვნების თავისუფლება; ამ სახელმწიფო სამართლის პირობაში შვიდი, ევროპიული კონსტიტუცია, რომელმაც შეჰქმნა ევროპიული დიადი იმპერიები. შეჰქონდათ მეცნიერება და მათ მიერ წარმონაშობი ტეხნიკა და ბუხჰალტერია, რომლებმაც შეჰქმნეს ევროპის აუარებელი სიმდიდრე. ევროპიელი ეუბნება თავის კოლონიის მკვიდრთ;თქვენი ქვეყანა მდიდარია, მაგრამ თქვენ, არა თუ ვერ სარგებლობთ, ვერც ჰხედავთ. ჩვენ ავამუშავებთ ამ სიმდიდრეს, თქვენც გეყოფათ და ჩვენც. ჩვენ შემოგიტანთ სანიტარიას და ჰიგიენას, და თქვენი ცხოვრება გაუმჯობესდებაო.

რა მიჰქონდა რუსეთს უცხო ქვეყანაში უცხო ერისათვის, რომელსაც შემოიერთებდა ხოლმე. პასუხი მოკლეა: ჟანდარმერია და პროვოკაცია. სხვა რა უნდა შეეტანა,—მეცნიერება და ტეხნიკა რუსეთშიაც არ იყო; ევროპიული კონსტიტუცია და ცივილიზაცია თავისთვისაც არა ჰქონდათ რუსებს.

გადავავლოთ თვალი რუსეთის იმპერიის ისტორიას.

ეს ისტორია ძალიან მოკლედ და ნავკუსით მოგვითხრო ერთხელ, იაპონიასთან ომის დასაწყისში, სკადკოვსკიმ: ვიგორავეთ, ვიგორავეთ, ზღვამდის მივგორდით, იქ ცხვირ წინა ავვემართა იაპონია, და მახოდ მაშინ თვალები დავჭყიტეთო. სკადსკოვკი გახლდათ „ნოვოე ვრემიას" პირველ კატეგორიის თანამშრომელი, ნიჭიერი პუბლიცისტი და დიდი მეგობარი ზბერი ! ფვორინის, და მაგას როგორ არ დაეჯერება.

იმისი სიტყვით რუსეთის იმპერია გაიზარდა ისე, როგორც მთაზედ აზვავებული თოვლი. ყოველ შემოხვევაში რუსის ერს დიდი გამონგარიშება და წინ [illegible]

მოსკოვიდან. როცა ეს სახელმწიფო გაიზარდა და გამაგრდა, რასაკვირველია, მას უხდებოდა შეტაკება მეზობლებთან. ეს მეზობლები იყვნენ: სვერიგეთი, პოლონეთი, ოხმალეთის საპროტექტორატო ყირიმი, კავკასია და ციმბირი. შვეციის მეფე კარლოს, მეთორმეტე ავანტიურისტი გამოდგა, და თავისი ავანტიურით თვით საშინლად დაამარცხა სვერიგეთი. პოლონეთი დაანგრიეს გერმანელებმა, დაანაწილეს და უფრო დიდი ნაჭერი მისცეს რუსეთს იმ მოსაზრებით, რომ ამ დიდი ნაჭერს რუსები ვერ მოინელებდნენ. რაც შეეხება ყირიმის და აღმოსავლეთისა და ციმბირის სახანოებს, ისინი თვით ინგრეოდნენ და სულ მუქთად ჩაუვარდათ რუსებს ხელში,—ყაჩაღმა ერმაკმა დაიპყრო მთელი ციმბირი და მიართვა მოსკოვს. დაგვრჩა კავკასია, ურომლისოდ რუსეთი თავის დღეში ვერ ჩათვლიდა თავის სახელმწიფოს დიდი იმპერიად. მაგრამ კავკასია ჩვენ ჩაგაბარეთ რუსებს.

ამგვარად შეიქმნა დიდი იმპერია, და რუსები გაამაყდნენ. მაგრამ ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ რუსებს ტლანქი სიამაყე თან დაჰყოლოდათ უხსოვარის დროიდან. საკმარისია მოვიყვანოთ სიტყვა „Нѣмецъ". ეს სიტყვა წარმოდგება სიტყვიდან нѣмой - მუნჯი. მუნჯს უწოდებდნენ რუსები ყველა ევროპიელებს მაშინ როცა თვითონ დათვებ ვით და დათვების მეზობლად ტყე ღრეში სცხოვრობდნენ. მუნჯებს უწოდებდნენ ევროპიელებს იმიტომ, რომ სალდავემა რუსული ენა არ იცოდნენ. ამაზე მეტი ტლანქი სიამაყე განა შეიძლება? იმ დროსაც ყოველ შემთხვევაში ევროპიელები უფრო განათლებული იყვნენ, ვიდრე რუსები. შემდეგ როცა რუსები თვით განათლდნენ ცოტათი, და შეიგნეს ფასი ნემცის ცოდნისა, ტეხნიკისა, მუშაობის უნარისა, თავი მოიფხანეს და გამოაცხადეს: „нѣмец обезьяну выдумалъ," ე. ი მაიმუნი ნემეცის გამოგონილიაო. მაგრამ ჯავრი იყარეს რუსეთიდან აღმოსავლეთით დასახლებულ ერებზე: თათარი, სომეხი, კავკასიელი ქართველები და სხვანი რუსის თქმით არ ლაპარაკობენ, არამედ ბურდღულობენ, „лапочутъ".

მეორე თვისება რუსის ერისა საშინელი გაუმაძღრობაა.

ყოველი რუსი, რომელსაც უმოგზაურია რუსეთის იმპერიის აღმოსავლეთის მხარეებში, მეცნიერია ის, ლიტერატორი, თუ პუბლიცისტი რაღაც ჯოჯოხეთურის სიხარულით აღნიშნავენ, რომ იქაური მკვიდრნი გადაშენებას გზას ადგიან და მალე უნდა ამოწყდნენო. უთუოდ ის უხარიანთ, რომ გადაშენებული ხალხის მიწა-წყალი რუსის მუჟიკს დარჩება. ამ პოლიტიკას რუსეთი მედგრად აწარმოებდა იქ, სადაც რუსის ხალხი მრავლად მისწვდებოდა.

აიღეს ყირიმის სახანო თუ არა, თათრები გადაჰყარეს იქიდან და დაასახლეს რუსებით. ჩრდილო კავკასიაში ჩერქეზების სოფლები სტავროპოლამდინ უწევდა, ერთი მილიონი მცხოვრები იყო. ნახევარი გასწყვიტეს მუდმივ ბრძოლაში დაუზოგველად, და მეორე ნახევარი ძალით გადაჰყარეს ოსმალეთში, მაგრამ აქვე არ შეგვიძლიან არ ავღნიშნოთ ის ფაქტი, რომ უკანასკნელი ტრანსპორტი ჩერქეზებისა შავ ზღვაში, ანატოლიის ნაპირებთან დაღუპეს თავიანთი სამარი გემებით და მრავალი ხალხი დაახრჩვეს, რათა ლამაზი და ვაჟკაცი ჩერქეზები ოსმალეთში არ დასახლდნენო. ეს კი კანიბალიზმს უდრის.

მაშ რა კულტურტრეგერობაზე შეიძლება რუსეთის შესახებ ლაპარაკი? პოლონეთი რუსეთზე უფრო განათებული იყო, და რუსები ცდილობდნენ ამ განათლების ჩახრჩობას ჟანდარმული რეჟიმის საშვალებით; ფინლიანდიას რაღაც ბედმა თუ ევროპის გავლენამ არგუნა ავტონომია. ამ ავტონომიის მფარველობით ისარგებლა შვეციის ინტელიგენციამ და შეიტანა ამ ღარიბ და გაუნათლებელ ქვეყანაში თავისი კულტურა; ისე გაანათლა და გაამდიდრა, რომ რუსები სიხარბით ჯავრზე სკდებოდნენ, მაგრამ ვერა მოუხერხეს რა. სხვაგან კი რუსეთი თავისი პოლიციის, ჟანდარმერიისა და პროვოკაციის საშვალებით ცდილობდა „ინოროდცების" გაწყვეტას. ჩვენთის საინტერესოა უფრო დაწვრილებით გადავავლოთ თვალი რუსეთ საქართველოს განწყობილებას. მაგრამ ეს შემდეგში.

ვ. გ.